<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩისთვის და ლამისყანის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწეების ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩას და ლამისყანის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწეების ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ძაბელი სიტყვა
გორდის ქუჩა
ლაითურის ქუჩა
ზერთველის ქუჩა
ალექსანდრეს ბულვარის ქუჩა
ლამისყანის ქუჩა
წერონისის ქუჩა
1 : 1920
ტოპოგრაფიული (ბრძედი.ge)

ნიკოლოზ ხიმშიაშვილი

(1861-1909)

საზოგადო მოღვაწე, "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრი

დაიბადა 1861 წელს სოფელ ბულაჩაურში. იგი გახლდათ პოეტ რაფიელ ერისთავის სიძე და საქართველოს ეროვნული გმირის პოლკოვნიკ გიორგი ხიმშიაშვილის მამა, რომელიც 1923 წლის 20 მაისს კომუნისტებმა დახვრიტეს.

ნიკოლოზ ხიმშიაშვილი გახლდათ "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრი 1904 წლიდან. მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან.

1909 წელს ნიკოლოზ ხიმშიაშვილი მოკლეს. მისი მკვლელები იყვნენ: ილია იმერლიშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი და ლადო ფეიქრიშვილი. გამოძიების დასკვნით მკვლელობის მოტივი იყო „ნიკოლოზ ხიმშიაშვილის ქმედითი მონაწილეობა თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელების ძებნაში“.

ნიკოლოზ ხიმშიაშვილი დაკრძალულია სოფელ ბულაჩაურში.

გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი

(1892 - 1923)

თავადი, ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი

მამამისი, თავადი ნიკოლოზ ხიმშიაშვილი (ხიმშიევი) 1910 წელს მოკლეს ილია იმერლიშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა და ლადო ფეიქრიშვილმა. გამოძიების დასკვნით, მკვლელობის მოტივი იყო „ნიკოლოზ ხიმშიევის ქმედითი მონაწილეობა თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელების ძებნაში“.

გოგი ხიმშიაშვილმა დაამთავრა ნიკოლაევის საკავალერიო სასწავლებელი. რუსეთის იმპერიის არმიის ნიჟეგოროდის დრაგუნთა მე-17 პოლკის რიგებში იბრძოდა პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე (იყო პორუჩიკი), 1916-1917 წლებში მონაწილეობდა გენერალ ბარათოვის ექსპედიციაში სპარსეთში; იყო ქართული ცხენოსანი პოლკის ოფიცერი. დაჯილდოებული იყო წმ. ანას IV, III და II, წმ. სტანისლავის II და წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენებით. 1918-1921 წლებში მეთაურობდა საქართველოს სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონს, რომლის ერთ-ერთი ესკადრონის უფროსი იყო პორუჩიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომში, 1919 წელს დენიკინელთაგან გაგრის გათავისუფლებაში და 1920 წელს აზერბაიჯანის საზღვარზე წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1920 წლის ივლისში ბათუმში საქართველოს ჯარების შესვლისას იყო გვარდიული ნაწილების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1921 წლის თებერვალში, რუსეთთან ომის დაწყების წინ ის სომხეთთან საზღვრის ერთ-ერთ მიმართულებას (ბობკაირის მთა)

იცავდა. ომის მიმდინარეობის დროს გაურკვეველი მიზეზით გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ქართული წითელი არმიის ბრიგადის სასწავლო ბატალიონის მეთაურად დანიშნა. მონაწილეობდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ იატაკქვეშა მოძრაობაში; საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის „სამხედრო ცენტრში“ წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. 1923 წლის მაისში დააპატიმრეს და „სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრების მსგავსად დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენის გამოცხადების შემდეგ მისი ბოლო საჯარო სიტყვები იყო: „თქვენ კარგად იცით რომ ბანდიტები არა ვართ! მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანედ მოგთხოვთ პასუხს. გაუმარჯოს საქართველოს!“ სიკვდილით დასჯის ადგილას (ახლანდელი ვაკის პარკი თბილისში) მიმავალ გზაზე გაქცევა სცადა, მაგრამ დაჭრეს, შეიპყრეს და დახვრიტეს.